



## შპს „სქაილოიერ“

### პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

#### 1. ზოგადი

წინამდებარე პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (“პოლიტიკა”) განსაზღვრავს იმ პირობებს რომლის საფუძველზეც შპს „სქაილოიერი“ შეაგროვებს, გამოიყენებს, გადასცემს ან სხვაგვარად დაამუშავებს მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს. ეს პოლიტიკა არეგულირებს ჩვენს მფლობელობასა და კონტროლს ქვეშ არსებულ მონაცემებს, მათ შორის იმ ორგანიზაციების კონტროლს ქვეშ არსებულ მონაცემებს რომელიც ჩვენი დავალებით აგროვებენ, იყენებენ ან სხვაგვარად ამუშავებენ მონაცემებს.

ჩვენ ვიყენებთ თქვენს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას მომსახურების გასაწევად. ჩვენი მომსახურებით სარგებლობით თქვენ თანხმობას აცხადებთ ჩვენს მიერ ამ პოლიტიკის მიხედვით თქვენი მონაცემების გამოყენებაზე. თუ კი ამ დოკუმენტით სხვაგვარად არ არის დადგენილი, აქ გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა რაც მოცემულია მომსახურების პირობებში რომელიც მოცემულია ვებ-გვერდზე: [www.skylawyer.ge](http://www.skylawyer.ge)

#### 2. შეგოვებულ მონაცემთა სახეები

##### 2.1 პერსონალური ინფორმაცია

ჩვენი სერვისებით სარგებლობისას, ჩვენ შეიძლება მოგთხოვოთ სხვადასხვა პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნება რაც აუცილებელია თქვენი იდენტიფიკაციისთვის. ასეთი ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს მათ შორის (თუმცა არა მხოლოდ):

- ელექტრონული ფოსტის მისამართი
- სახელი და გვარი
- ტელეფონის ნომერი
- მისამართი, ქვეყანა, რეგიონი, საფოსტო კოდი, ქალქი.
- ქუჩი ფაილები და სერვისით სარგებლობის მონაცემები



## 2.2 მონაცემები სერვისით სარგებლობის შესახებ

ჩვენ აგრეთვე შეიძლება შევავროვოთ და დავამუშავოთ ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ იყენებთ ჩვენს სერვისებს. ეს შეიძლება მოიცავდეს თქვენი კომპიუტერის ინტერნეტ პროვაიდერის მისამართს (IP მისამართი), ბრაუზერის ტიპი, ბრაუზერის ვერსია, თქვენს მიერ მონახულებული საიტები, საიტზე შესვლის დრო და თარიღი, საიტზე გატარებული დრო, მოწყობილობის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია და სხვა.

## 2.3 ქუჩი ფაილების მონაცემები

ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ ქუჩი ან სხვა ტექნოლოგია რათა დავაკვირდეთ თქვენს მიერ ჩვენი სერვისებით სარგებლობას ან მოვიპოვოთ სხვა ინფორმაცია.

ქუჩი-ფაილები არის მცირე ზომის ტექსტური ფაილები, რომელიც შეიძლება მოიცავდეს უნიკალურ მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს. ქუჩი-ფაილები იგზავნება თქვენს ბრაუზერში ჩვენი საიტიდან. სხვა მსგავსი ტექნოლოგია შეიძლება იყოს „beacons“, „tags“, „scripts“, რომლითაც ჩვენ ვაგროვებთ ინფორმაციას, ვაანალიზებთ და ვცდილობთ გავაუმჯობესოთ ჩვენი სერვისები.

თქვენ შეგიძლიათ უბრძანოთ თქვენს ბრაუზერს რომ უარყოს ქუჩი-ფაილების შემოთავაზება, თუმცა, შეიძლება ასეთ შემთხვევაში თქვენ ვეღარ შეძლოთ სერვისებით სრულყოფილად სარგებლობა.

მაგალითის სახით, ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი ქუჩი-ფაილები:

- **სესიის ქუჩი-ფაილები** - შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ჩვენი სერვისების ოპერირების მიზნით.
- **პრეფერენციის ქუჩი-ფაილები** - შესაძლებელია გამოყენებული იქნეს რათა დავიმახსოვოთ თქვენი პრეფერენციები.
- **უსაფრთხოების ქუჩი-ფაილები** - შესაძლებელია გამოყენებული იქნეს უსაფრთხოების მიზნებისთვის.



### 3. მონაცემების გამოყენება

ჩვენ შესაძლოა გამოვიყენოთ თქვენი მონაცემები სხვადასხვა მიზნებისთვის, მათ შორის:

- თქვენთვის მომსახურების სათანადოდ გაწევისთვის და ჩვენი ვალდებულებების ჯეროვნად შესასრულებლად
- თქვენი იდენტიფიცირებისთვის
- თქვენი კითხვის, საჩივრის, მოთხოვნის ან რეკომენდაციის საპასუხოდ ან დასამუშავებლად
- თქვენთან ურთიერთობის წარმოებისათვის
- გადხდების წარმოებისათვის
- ჩვენი სერვისების, მარკეტინგულ ღონისძიებების, ინიციატივების ან სხვა პრომო აქციების შესახებ თქვენთვის მარკეტინგული ინფორმაციის მოსაწოდებლად.
- სხვადასხვა რეგულაციასთან, კანონმდებლობასთან, წესთან ან კოდექსთან შესაბამისობის მიზნით, ან რათა სათანადოდ დახმარება გავუწიოთ სამართალდამცავ ორგანოებს ან სამთავრობო, სასამართლო და მარეგულირებელ ორგანოებს სხვადასხვა გამოძიების წარმოებაში.
- ტექნიკური პრობლემების აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისთვის.
- ჩვენი სერვისებითარგებლობაზე დკვირებისათვის
- კლიენტისათვის სერვისებში ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად
- ნებისმიერ სხვა მიზნისთვის, რა მიზნითაც თქვენ ინფორმაციას მოგვაწვდით
- ნებისმიერ სხვა, ჩვენთან არააფილირებული პირისთვის, მათ შორის ჩვენი სერვისის პროვაიდერებისთვის, სამთავრობო, სასამართლო და მარეგულირებელი ორგანოებისთვის (როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ), ამ ინფორმაციის გადაცემისთვის, ზემოთ აღნიშნული მიზნებისთვის.
- ნებისმიერი სხვა მსგავსი/თანმდევი ბიზნეს მიზნებისთვის.

### 4. მონაცემთა გადაცემა

თქვენი მონაცემები, მათ შორის პერსონალური მონაცემები, შეიძლება გადაგზავნილი და შენახული იქნეს თქვენი ადგილმდებარეობისაგან განსხვავებულ ლოკაციაზე, სადაც არსებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა შესაძლებელია



SKY  
LAWYER

განსხვავდებოდეს თქვენი ადგილმდებარეობის ქვეყანაში არსებული კანონმდებლობისგან.

თუ თქვენი ადგილმდებარეობა არ არის საქართველო, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია გადაცემული და დამუშავებული იქნება საქართველოში.

თქვენს მიერ ამ პოლიტიკაზე თანხმობის გამოთქმა და მონაცემების მოწოდება წარმოადგენს თქვენს იურიდიული ძალის მქონე თანხმობას მსგავს გამოყენებაზე.

შპს „სქაილოერი“ მიიღებს ყველა გონივრულ ზომას რათა უზრუნველყოს რომ თქვენი მონაცემები სათანადოდ არის დაცული ამ პოლიტიკის მიხედვით და არ მოხდება მისი გადაცემა იმ ორგანიზაციისათვის ან იმ ქვეყანაში თუ კი არ არსებობს თქვენი მონაცემების დაცვის სათანადო გარანტიები.

## 5. მონაცემების გამჟღავნება

ჩვენ შესაძლებელია გავამჟღავნოთ თქვენი პერსონალური მონაცემები თუ კი:

- ეს საჭიროა თქვენთვის მომსახურების გასაწევად და ჩვენი ვალდებულებების ჯეროვნად შესასრულებლად
- თქვენთვის მომსახურების სათანადოდ გასაწევად საჭირო მათ გამჟღავნება ჩვენი სერვისის პროვაიდერებისთვის ან სხვა ორგანიზაციებისთვის რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ მომსახურების გასაწევად
- ეს საჭიროა რეგულაციებთან შესაბამისობისთვის
- ეს საჭიროა შპს „სქაილოერი“ უწყებების ან/და საკუთრების დასაცავად
- ეს საჭიროა ჩვენი სერვისებით ბოროტად სარგებლობის აღსაკვეთად ან მის გამოსადიებლად
- ეს საჭიროა კლიენტების პირადი უსაფრთხოების ან საჯარო უსაფრთხოების დასაცავად

ზემოთ ჩამოთვლილი მიზნები შესაძლებელია ძალაში დარჩეს იმ შემთხვევაშიც როდესაც თქვენ შეწყვეტით ან სხვაგვარად შეცვალეთ ჩვენთან ურთიერთობა, გონივრული ვადის განმავლობაში (მათ შორის, იმ ვადით რაც საჭიროა თქვენთან



არსებული რაიმე ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენი უფლებების აღსასრულებლად).

## 6. მონაცემების დაცვა

თქვენი მონაცემების უსაფრთხოება ჩვენთვის მნიშვნელოვანია. თუმცა, გაითვალისწინეთ რომ არ არსებობს მონაცემების ელექტრონულად შენახვის ან გადაცემის 100%-ით უსაფრთხო მეთოდი. მიუხედავად იმისა რომ უსაფრთხოება ყოველთვის გარანტირებული არ არის, ჩვენ მუდმივად ვმუშაობთ რათა დაიცვათ თქვენი ინფორმაციის უსაფრთხოება და მუდმივად ვცდილობთ გავაუმჯობესოთ ინფორმაციული უსაფრთხოების ზომები.

## 7. სერვისის პროვაიდერები

ჩვენ შესაძლოა დავიჭირავოთ მესამე ფიზიკური ან იურიდიული პირები თქვენთვის მომსახურების გაწევის პროცესში, რომლებმაც შეიძლება მომსახურება ჩვენი სახელით გაგიწიონ ან რომლებიც შეასრულებენ სხვადასხვა დავალებებს და დაგვებმარებიან სერვისის მიწოდების ანალიზში.

მსგავს მესამე პირებს აქვთ წვდომა თქვენს პერსონალურ მონაცემებზე მხოლოდ იმ მიზნით რათა შეასრულონ მათი ვალდებულებები ჩვენი სახელით და არ არიან უფლებამოსილნი ეს მონაცემები გაუმჟღავნონ ნებისმიერ მესამე პირს ან გამოიყენონ ნებისმიერი სხვა მიზნით.

## 8. ანალიტიკა

ჩვენ შესაძლებელია გამოვიყენოთ მესამე პირთა სერვისები ჩვენი მომსახურებით სარგებლობის მონიტორინგისა და ანალიზისთვის.

- **Google ანალიტიკა**

Google ანალიტიკა არის ვებ-ანალიტიკის სერვისი ოპერირებული Google-ს მიერ, რომელიც ახორციელებს ვებ საიტზე ტრეფიკზე დაკვირვებას და ანგარიშგებას. ეს



მონაცემები ზიარდება Google-ს სხვა სერვისებთან. Google-მა შეიძლება გამოიყენოს ეს მონაცემები რათა განახორციელოს პერსონალურად გამიზნული რეკლამირება.

თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ რომ Google ანალიტიკამ ვერ შეძლოს თქვენს მოქმედებებზე დაკვირვება თუ კი დააყენებთ შესაბამის პროგრამას. აღნიშნული პროგრამა უფლებას არ აძლევს Google ანალიტიკას გააზიაროს მოიპოვოს ინფორმაცია ვებ-გვერდზე თქვენი მოქმედებების შესახებ.

Google-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის გთხოვთ ეწვიეთ შემდეგ მისამართს: <https://policies.google.com/privacy?hl=en>

- **Piwik/Matomo**

Piwik/Matomo არის ვებ-ანალიტიკის სერვისი. თქვენ შეიძლება გაეცნოთ მათ პოლიტიკას პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ შემდეგ მისამართზე: <https://matomo.org/privacy-policy>

- **Clicky**

Clicky არის ვებ-ანალიტიკის სერვისი. თქვენ შეიძლება გაეცნოთ მათ პოლიტიკას პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ შემდეგ მისამართზე: <https://clicky.com/terms>

- **Statcounter**

Statcounter არის ვებ-ანალიტიკის სერვისი. თქვენ შეიძლება გაეცნოთ მათ პოლიტიკას პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ შემდეგ მისამართზე: <https://statcounter.com/about/legal/>

## 9. სხვა ვებ-გვერდების მისამართები

ჩვენი სერვისის ფარგლებში შესაძლებელია არსებობდეს ლინკები სხვა ვებ-გვერდებზე რომელიც არ არის ჩვენს მიერ ოპერირებული. თუ თქვენ გადახვალთ სხვა



ვებგვერდზე, გირჩევთ რომ კარგად გაეცნოთ მათ პოლიტიკას პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.

ჩვენ არ გვაქვს არანაირი ბერკეტი გავაკონტროლოთ მესამე პირთა მიერ მართული ვებ-გვერდები და არ ვიღებთ არანაირ პასუხისმგებლობას ამ ვებ-გვერდების მიერ პერსონალური მონაცემების დაცვის წესსა და პრაქტიკაზე.

## 10. ბავშვთა პერსონალური მონაცემები

ჩვენი სერვისები არ არის მიმართული 18 წლამდე პირების მიმართ.

ჩვენ გაცნობიერებულად არ ვაგროვებთ 18 წლამდე პირთა პირად მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას. თუ თქვენ ხართ მშობელი ან მეურვე და თვლით რომ არასრულწლოვანმა მოგვაწოდა მისი პირადი ინფორმაცია თქვენი თანხმობის გარეშე, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ. თუ ჩვენთვის გახდება ცნობილი რომ ჩვენ შევაგროვე 18 წლამდე პირის პერსონალური ინფორმაცია მისი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ჩვენ მივიღებთ ზომებს რათა მოხსნილი იქნეს ეს ინფორმაცია ჩვენი სერვერებიდან.

## 11. წვდომა პერსონალურ ინფორმაციაზე და მასში ცვლილებების შეტანა

თუ თქვენ გსურთ (a) გქონდეთ ჩვენს მფლობელობაში არსებული თქვენი პერსონალური მონაცემების ასლი, ან ინფორმაცია ჩვენს მიერ ამ მონაცემების დამუშავების ან გამჟრავნების შესახებ, ან (b) ცვლილება შეიტანოთ ან განაახლოთ ჩვენს მფლობელობაში არსებული თქვენი პერსონალური მონაცემი, გთხოვთ მოგვმართეთ თხოვნით შემდეგ ელ-ფოსტაზე [contact@skylawyer.ge](mailto:contact@skylawyer.ge)

## 12. პერსონალური მონაცემების სისწორე

ჩვენ ვეყრდნობით თქვენს მიერ მოწოდებული მონაცემების სისწორეს. იმისათვის რათა უზრუნველვყოთ რომ თქვენი პერსონალური მონაცემები იყოს განახლებული, სრული და სწორი, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია მასში შესული ნებისმიერი ცვლილების შესახებ შემდეგ მისამართზე [contact@skylawyer.ge](mailto:contact@skylawyer.ge)



### 13. პერსონალური მონაცემების შენახვა

ჩვენს შესაძლებელია შევინახოთ თქვენი პერსონალური მონაცემები იმ ვადით რაც საჭიროა იმ მიზნების მისაღწევად რა მიზნითადად მოხდა მათი შეგროვება, ან კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

ჩვენ შევწყვეტთ ამ მონაცემების შენახვას, იმ მომენტიდან როგორც კი გონივრულობის ფარგლებში სავარაუდოა რომ მათი შენახვა აღარ ემსახურება იმ მიზნებს რა მიზნითადად მოხდა მათი შეგროვება და აღარ არის საჭირო ბიზნესის ან სამართლებრივი მიზნებისთვის.

### 14. ცვლილებები ამ პოლიტიკაში

ჩვენ შესაძლებელია დრო და დრო ცვლილებები შევიტანოთ ამ პოლიტიკაში რის შესახებაც კლიენტებს მივაწვდით ინფორმაციას ვებ-გვერდზე მისი განთავსების გზით.

ჩვენ გირჩევთ რომ პერიოდულად გადახედოთ ამ პოლიტიკას. მასში შესული ნებისმიერი ცვლილება ძალაში შევა საიტზე მისი განთავსების დღიდან.

### 15. დაგვიკავშირდით

პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის შესახებ ნებისმიერი კითხვის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ მისამართზე: [contact@skylawyer.ge](mailto:contact@skylawyer.ge)